იაპონური თანამედროვე ხელოვნების ტრიენალეების გლობალური და ლოკალური კონტექსტი

ეკატერინა კენიგსბერგი

საკვანძო სიტყვები: *ტრიენალე, თანამედროვე ხელოვნება, იაპონია, ფრამ კიტაგავა, მხატვარი*

იაპონიაში თანამედროვე ხელოვნების მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება იმართება, როგორიცაა „Setouchi Triennale", "Ichihara ArtxMix", "Echigo-Tsumari Art Triennale", "Oku-Noto Triennale", "The Northern Japan Alps Art Festival". ფრამ კიტაგავა, ამ ხუთი ტრიენალეს გენერალური დირექტორი, რომელსაც აქვს მრავალწლიანი და წარმატებული გამოცდილება მნიშვნელოვანი საერთაშორისო კულტურული ღონისძიებების მართვაში, იწვევს კურატორებს ინდივიდუალური გამოფენებისთვისა თუ პროექტებისთვის და კოორდინაციას უწევს ადგილობრივი და საერთაშორისო ხელოვანების მონაწილეობას.

ხუთივე ტრიენალეს საერთო აქვს ადგილობრივი კონტექსტი და თანამედროვე ხელოვნება. ცნობილი კურატორების მიერ შექმნილი და რეგულარულად ჩატარებული თანამედროვე ხელოვნების პროექტები, რომლებიც დამთვალიერებელთა დიდ რაოდენობას იზიდავს, ხელს უწყობს ტერიტორიების კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებას. ქვეყნის შემოქმედებითი თემები ხელოვნების გლობალური მსჯელობის ნაწილი ხდება.

იაპონიაში იმართება თანამედროვე ხელოვნების მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიება: მაგალითად, სეტუჩის ტრიენალე, იტიჰარას არტ-მიქსი, ეჩიგო-ცუმარის ხელოვნების ტრიენალე, ოკუ-ნოტოს ტრიენალე, ჩრდილოეთ იაპონიის ალპების ხელოვნების ფესტივალი. ფრამ კიტაგავა, ამ ხუთი ტრიენალეს გენერალური დირექტორი, რომელსაც მრავალწლიანი და წარმატებული გამოცდილება აქვს მნიშვნელოვანი საერთაშორისო კულტურული ღონისძიებების ჩატარებაში, იწვევს კურატორებს ინდივიდუალური გამოფენებისა თუ პროექტებისთვის და კოორდინაციას უწევს ადგილობრივ და საერთაშორისო ხელოვანთა მონაწილეობას.

მთიანი სასოფლო-სამეურნეო რეგიონი ეჩიგო-ცუმარი ნიიგატას პრეფექტურაში, რომელიც ჯერ კიდევ 2000 წლიდან მასპინძლობს ეჩიგო-ცუმარის ხელოვნების ტრიენალეს,[1] წარმოადგენს ნაკლებად დასახლებულ ტერიტორიას, რომლის მომცრო დასახლებები ცივ და თოვლიან ზამთარში ერთმანეთისგანაა მოწყვეტილი. ათწლეულების განმავლობაში ახალგაზრდობის გადინებამ ქალაქებში და მოსახლეობის ბუნებრივმა კლებამ უარყოფითი გავლენა იქონია რეგიონის განვითარებაზე. კიტაგავას, როგორც ნიიგატას პრეფექტურაში დაბადებულ ადამიანს, კარგად ესმის ეჩიგო-ცუმარის წინაშე მდგარი პრობლემები. თანამედროვე ხელოვნების დახმარებით ეჩიგო-ცუმარის პოპულარიზაციის იდეა კიტაგავას ჯერ კიდევ 1994 წელს გაუჩნდა, თუმცა იმ პერიოდში მას სკეპტიციზმით შეხვდნენ. 2000 წელს ეჩიგო-ცუმარის ხელოვნების ტრიენალეს პირველად გამართვას წინ უძღოდა წლების განმავლობაში ადგილობრივი მოსახლეობის განათლებას თანამედროვე ხელოვნებაში, საზოგადოების დარწმუნება და დაინტერესება გლეხობის საუკუნოვანი ტრადიციული ცხოვრების

1 Echigo-Tsumari Art Field. – https://www.echigo-tsumari.jp/en.

წესით, ასევე რიგი შეხვედრები და მოლაპარაკებები სხვადასხვა დონეზე.

ტრიენალეს კონცეფცია ეყრდნობა შვიდ ასპექტს: ადამიანი, როგორც ბუნების ნაწილი; მოგზაურობა ბუნების წიაღში, რა დროსაც მეგზურობას გვიწევენ ხელოვნების ნიმუშები; თანამშრომლობა ასაკობრივ, რეგიონალურ და პროფესიულ საზღვრებს მიღმა; არსებული ღირებულებების საფუძველზე ალტერნატიული ფასეულობების შექმნა; უნიკალური კულტურული ცენტრის შესაძლებლობები; ცხოვრების ხელოვნება; გლობალური და ადგილობრივი ასპექტები.

თანამედროვე ხელოვნების მეშვეობით ეჩიგო-ცუმარის არტისტული ლანდშაფტის შექმნა ეფუძნება ადამიანსა და ბუნებას შორის საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ურთიერთობის მოდელს, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია სასოფლო-სამეურნეო რეგიონებისთვის. ტრადიციული ადგილობრივი სამზარეულო წარმოდგენილია, როგორც „ხელოვნების პრიმიტიული გამოხატულება“, და გვევლინება, როგორც ტრიენალეს მნიშვნელოვანი ელემენტი, აკავშირებს რა ერთმანეთთან სხვადასხვა კულტურას და იპყრობს სტუმრების ყურადღებას. ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან და მოხალისეებთან ერთად, მოწვეული არტისტები ტრიენალეს ფარგლებში ქმნიან თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებს და ახორციელებენ პროექტებს, რომლებშიც ხაზგასმულია ამ რეგიონის უნიკალურობა. საერთაშორისოდ აღიარებული თუ ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი ხელოვნების ნამუშევრები იქცევა მუდმივ თუ დროებით ინსტალაციებად ბრინჯის ტერასებზე, ყანებში, გზებზე, მიწის ნაკვეთებზე, დაცარიელებულ სკოლებსა თუ სახლებში და შენობებში 200-ზე მეტ სოფელში.

ხელოვანთა ნამუშევრების და პროექტების „გაფანტვა“ დიდ დასახლებებსა თუ პატარა სოფლებში იძლევა სტუმრებისთვის მრავალფეროვანი მარშრუტების შექმნის შესაძლებლობას, იპყრობს მათ ყურადღებას რეგიონის ღირსშესანიშნაობების მიმართ და აძლევს მათ საშუალებას, შემოქმედებითად ჩაუღრმავდნენ ლოკალურ და გლობალურ საკითხებს, მათ შორის ისეთ პრობლემებს, რომლებიც სცდება ხელოვნების საზღვრებს.

ფრამ კიტაგავა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი, როგორც ტრიენალეს კურატორის და დირექტორის, მიზანია, „გლობალურისგან განსხვავებული სივრცეების შესწავლა ხელოვნების ნიმუშების მეშვეობით, რაც ჯამში განსაზღვრავს ეჩიგო-ცუმარის რეგიონის მომავალს“.[2]

წლების განმავლობაში ეჩიგო-ცუმარის ხელოვნების ტრიენალე მასპინძლობდა ასობით ხელოვანს მთელი მსოფლიოდან: ილია და ემილია კაბაკოვი (რუსეთი/აშშ), მენაშე კადიშმანი (ისრაელი), ჯოზეფ კოშუტი (აშშ), ჩაი გუო-ქიანგი (ჩინეთი/აშშ), სტასის ეიდრიგიავიჩიუსი (პოლო-ნეთი/ლიტვა), კარსტენ ნიკოლაი (გერმანია), ნაგაი რიჰიტო (იაპონია), ტანია ბადანინა (რუსეთი), რებეკა ბელმორი (კანადა), მა იანსონგი (ჩინეთი), კური მაიუმი (იაპონია), ურს ტველმანი (შვეიცარია) და სხვანი.

მცირედ დასახლებული და ნაკლებად განვითარებული იაპონური რეგიონის აღდგენისა და გამოცოცხლების კურატორულ-კვლევითი კონცეფციის თანახმად, რომელიც ფრამ კიტიგავას ეკუთვნის, ეჩიგო-ცუმარის ხელოვნების ტრიენალეს მთავარ იდეას წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს ეჩიგო-ცუმარის თითოეული კუთხე-კუნჭულის უნიკალურობის აღმოჩენა და მის შესახებ ცნობიერების ამაღლება მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხელოვანთა მიერ შექმნილი ნამუშევრების მეშვეობით. ეჩიგო-ცუმარის ხელოვნების ტრიენალეს ფარგლებში შექმნილი ნამუშევრები, მათი ურთიერთმიმართება ადგილობრივ მოსახლეობასთან, კონკრეტული ობიექტებისთვის სპეციფიკური ნიმუშების შექმნა და ინსტალაცია, დამატებითი ღონისძიებების ჩატარება და სადისკუსიო პროგრამების უზრუნველყოფა – ყოველივე ამას წვლილი შეაქვს კავშირების დამყარებასა და განმტკიცებაში, ასევე ამ რეგიონის, როგორც ძლიერი პოტენციალის მქონე ადგილის, უკეთ გაცნობაში.

სეტუჩის ტრიენალე იმართება იაპონიის შიდა ზღვის კუნძულ სეტოზე, რომელიც განლაგებულია ჰონსიუს, სიკოკუს და კიუსიუს კუნძულებს შორის. საუკუნეების განმავლობაში ამ ზღვაზე გადიოდა მარშრუტები, რომლებითაც დიდ თუ მცირე კუნძულებს მიეწოდებოდათ როგორც მატერიალური, ისე კულტურული დოვლათი, რითაც მდიდრდებოდა და ვი-

2 იხ. ასევე Echigo-Tsumari Art Field.

თარდებოდა ადგილობრივი ისტორია, ეთნოგრაფია და კულტურა.

იაპონიის შიდა ზღვა ცნობილია თავისი კუნძულებითა და ზღვის თემატიკაზე შექმნილი ხელოვნების ნიმუშებით. 1960-იან წლებში იაპონიის ეკონომიკის სწრაფმა ზრდამ ბიძგი მისცა რეგიონში ინდუსტრიალიზაციის მაღალ ტემპებს და მსხვილი ქარხნებისა თუ ფაბრიკების აღმოცენებას. ამან კი, თავის მხრივ, შედეგად მოიტანა გარემოს დაბინძურება. დროთა განმავლობაში ეს რეგიონი, – ისევე, როგორც ბევრი სხვა შორეული, იზოლირებული სოფელი იაპონიაში, – დადგა ურბანიზაციისა და გლობალიზაციისთვის დამახასიათებელი ტიპური პრობლემების წინაშე: ახალგაზრდობის გადინება ქალაქებში, სკოლებისა და ბიზნესების დახურვა, მოსახლეობის მკვეთრი კლება და უფროსი თაობის მაცხოვრებელთა გაქრობა.

სეტუჩის ტრიენალეს კურატორთა გუნდის და მოწვეული არტისტების მისიას დღეს წარმოადგენს რეგიონის თითოეული კუნძულის, ასევე სეტოს შიდა ზღვის კუნძულების, უნიკალურობისა და ინდივიდუალობის აღმოჩენა და პოპულარიზაცია. ფრამ კიტაგავა მოიხსენებს სეტუჩის ტრიენალეს, როგორც „მოგზაურობას ჩვენი დნმ-ის შესწავლისკენ“.[3]

სეტუჩის ტრიენალეს კონცეფცია ეფუძნება რამდენიმე ასპექტს:

- ხელოვნება და არქიტექტურა და მათი დახმარებით სტუმრების მოზიდვა და უნიკალური ადგილობრივი კულტურის გაცნობა;
- ადგილობრივი იდენტობის მხარდაჭერა. სეტუჩის ტრიენალე პოპულარიზაციას უწევს ადგილობრივი უნიკალურობისა და ინდივიდუალობის აღმოჩენასა და შენარჩუნებას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა ადათების და ხალხური მრეწველობის, მხატვრული და ფოლკლორული თვითგამოხატვის და არქიტექტურის მეშვეობით;
- ადგილობრივი თემების გამოცოცხლება. შემოქმედებით საქმიანობაში ადგილობრივი თემების ჩართვით სეტუჩის ტრიენალე აღვივებს ინტერესს ადგილობრივი ცხოვრების წესის და ისტორიის მიმართ;
- სეტუჩის დაკავშირება გარე სამყაროსთან. ადგილობრივ მოსახლეობასთან სხვადასხვა ჟანრსა და ტექნიკასთან მომუშავე საერთაშორისო ხელოვანთა თანამშრომლობის გზით ხელოვნების ნიმუშების შექმნით სეტუჩის ტრიენალე შლის გეოგრაფიულ და მსოფლმხედველობით ბარიერებს;
- გლობალური გამოცდილების გაზიარება-დანერგვა. სეტუჩის ტრიენალე, საზრდოობს რა საერთაშორისო გამოცდილებით ხელოვნებისა და კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების, არქიტექტურის და სხვა სფეროებში, მიზნად ისახავს ადგილობრივი კულტურის და მთლიანად რეგიონის აღორძინებას;
- მომავლის აშენება. თანამედროვე ხელოვნების დახმარებით სეტუჩის ტრიენალე ხელს უწყობს ცოდნის გაცვლას სხვადასხვა რეგიონს შორის, ასევე მის გადაცემას მომავალი თაობებისთვის: ახალგაზრდებისა და ბავშვებისთვის;
- მდგრადი ადგილობრივი განვითარება. სეტუჩის ტრიენალეს მიზანია, იქცეს შთაგონების წყაროდ მუდმივად განვითარებადი ადგილობრივი ინიციატივებისა და თანამშრომლობითი პროგრამებისთვის როგორც თავად ტრიენალეს ფარგლებში, ისე მის გარეთ, რითაც წვლილი შეაქვს ადგილობრივი მოძრაობების განვითარებაში ზღვის კულტურისა და რეგიონის აღორძინების მიზნით.

სეტუჩის ფესტივალი იმართება თორმეტ კუნძულზე (იბუკიჯიმა, ავასიმა, ტაკამიჯიმა, ჰონჯიმა, სამიჯიმა, ნაოსიმა, მეგიჯიმა, ოგიჯიმა, ოსიმა, ტესიმა, ინუჯიმა, სედოსიმა), რომელთაგან ბევრი გაუკაცრიელებულია, ასევე ორ საპორტო ქალაქში (ტაკამაცუ და პორტი უნო ტამანოში). სეტუჩის პირველი ფესტივალი 2010 წელს ჩატარდა შვიდ კუნძულზე და ტაკამაცუს პორტში (კაგავას პრეფექტურა), თუმცა 2013 წლის სეტუჩის ტრიენალემ კიდევ 5 კუნძული და უნოს პორტიც მოიცვა (ოკაიამას პრეფექტურა).

ფრამ კიტაგავას კურატორულმა სტრატეგიამ თანამედროვე ხელოვნების დახმარებით სეტოს შიდა ზღვის რეგიონის აღორძინებასთან დაკავშირებით უკვე მოიპოვა აღიარება იაპონიასა და მის საზღვრებს გარეთ, ხოლო სეტუჩის ტრიენალე დღეს წარმოადგენს ცნობილ და წარმატებულ, რეგულარულ ღონის-

3 Setouchi Triennale.

ძიებას თავისი უნიკალური ნიშით მსოფლიოს თანამედროვე სახელოვნებო სცენაზე.

იტიჰარას არტ-მიქს ტრიენალეს, რომელიც პირველად 2014 წელს გაიმართა, მოიხსენებენ, როგორც „ხელოვნების ფესტივალის ახალ სახეობას“,[4] რომლის ფარგლებშიც თანამედროვე ხელოვნების ნიმუშები სრულ ჰარმონიაშია გარემოსთან, იქნება ეს ბუნება თუ ტრადიციები, ადგილობრივი რესურსები თუ ისტორია, კულტურა და სარკინიგზო ინფრასტრუქტურა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ტრიენალეს ლოკაციებს. ქალაქი იტიჰატა მდებარეობს ბოსოს ნახევარკუნძულის გულში, ავტომობილით დაახლოებით 4 საათის სავალ გზაზე ტოკიოდან. ქალაქის სამხრეთი ნაწილი მთაგორიანია და მისი მოსახლეობა სწრაფად მცირდება, მაცხოვრებელთა საშუალო ასაკი კი განუხრელად იზრდება. ტრიენალეს მიზანია თანამედროვე ხელოვნების დახმარებით ადგილობრივი რესურსების ხელახლა აღმოჩენა.

იტიჰარას არტ-მიქსის ტრიენალეს კონცეფცია მოიცავს ოთხ არსებით ასპექტს:

– 2013 წელს დახურული 4 სკოლის შენობის გამოყენება სახელოვნებო პროექტების განსახორციელებლად;
– ადგილობრივი სატრანსპორტო ქსელის აღორძინება: კომინატოს რკინიგზის აღდგენა, რომელიც რკინიგზის სადგურების და მატარებლების გამოყენებით იმოძრავებს იტიჰარას ცენტრში ტრიენალეს ჩატარების პერიოდში; ასევე სხვა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის აღდგენა;
– მდიდარი ბუნებრივი გარემოს და ადგილობრივი კულინარიის გამოყენება კატალიზატორის სახით ადგილობრივებსა და სტუმრებს შორის ურთიერთგაგების გასაღრმავებლად;
– 40 წლამდე ასაკის საერთაშორისო ხელოვნების მიწვევა ტრიენალეში მონაწილეობის მისაღებად, რათა მათ ადგილობრივ მოსახლეობასთან დაამყარონ ახლო და გრძელვადიანი ურთიერთობები და თანამშრომლობა ხელოვნების ნიმუშების შესაქმნელად და სახელოვნებო პროექტების განსახორციელებლად, რითაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ რეგიონის და ადგილობრივი თემის აღორძინებაში.

ოკუ-ნოტოს ტრიენალეს საფუძვლად უდევს იდეა, რომელიც გულისხმობს კავშირების წახალისებას იაპონიის შორეული კუთხის მკვიდრ მოსახლეობასა და თანამედროვე ხელოვანთა შორის. ამ ღონისძიებას მოიხსენებენ, როგორც „ხელოვნების უმთავრეს ფესტივალს მსოფლიოს ყველაზე დაშორებულ კუთხეში“.[5]

ოკუ-ნოტო მდებარეობს ჰონსიუს კუნძულის ნოტოს ნახევარკუნძულის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში. სწორედ აქ, ქალაქ სუძუში და მის შემოგარენში, 2017 წლიდან იმართება ოკუ-ნოტოს ტრიენალე. ოდესღაც, მეზღვაურობის პიკის პერიოდში, სუძუ წარმოადგენდა მნიშვნელოვან სავაჭრო პორტს, თუმცა დროთა განმავლობაში იგი დაკნინდა და დავიწყებას მიეცა, რამაც ჯამში გამოიწვია მოსახლეობის გადინება. გეოგრაფიული მდებარეობის გამო, სუძუ არის ერთ-ერთი ყველაზე შორეული და მიუწვდომელი ქალაქი იაპონიაში. აქ შემონახულია იაპონური კულტურის უნიკალური არქეტიპი: „დიდი ფარნის ფესტივალი“, მარილის საბადოები და მისი მოპოვების უნიკალური მეთოდი, რომელიც არ შეცვლილა ამ უკანასკნელი 500 წლის განმავლობაში, ასევე სოიოს ადგილობრივი ჯიშისგან სხვადასხვა პროდუქტის წარმოება და, რა თქმა უნდა, ადგილობრივი რიტუალები და სტუმარ-თმოყვარეობის ადათები. სუძუს ეკოსისტემა შეტანილია მსოფლიო მნიშვნელობის სასოფლო-სამეურნეო მემკვიდრეობის ნუსხაში.

2017 წლის ოკუ-ნოტოს ტრიენალეზე და ოკუ-ნოტოს ტრიენალეზე 2020+, რომელიც კორონავირუსის პანდემიის გამო ერთი წლის დაგვიანებით, 2021 წელს, გაიმართა, ყურადღება გამახვილებული იყო სუძუს პოტენციალის სრულად გამოყენებაზე. სწორედ ამ კრიტერიუმებით მოხდა ხელოვანთა და მათ მიერ შექმნილი ხელოვნების ნიმუშების თემატური შერჩევა, რომლებიც შემდგომში გამოიფინა გალერეებსა და საზოგადოების თავშეყრის ადგილებში. სუძუს ყველა უბანი იქცა საგამოფენო სივრცედ. ოკუ-ნოტოს ტრიენალეს ფარგლებში შექმნილი მუდმივი თუ დროებითი ნიმუშები, ძირითადად, ადგილობრივ კონტექსტს ეფუძნება.

4 Ichihara Art x Mix.
5 Oku-Noto Triennale.

ჩრდილოეთ ალპების ხელოვნების ფესტივალი,[6] რომელიც პირველად 2017 წელს ჩატარდა, მიზნად ისახავს თანამედროვე ხელოვნების ფართომასშტაბიანი ღონისძიებების მეშვეობით ქალაქ ომატის (ნაგანოს პრეფექტურა) მიდამოებში ტყის და წყლის მდიდარი რესურსებით სახელგანთქმული მთიანი რეგიონის აღორძინებას. ფესტივალის კონცეფცია ეყრდნობა ოთხ ძირითად ასპექტს: წყალი, მიწა, ხეები და ცა. სწორედ მათ საფუძველზე ჩამოყალიბდა რეგიონის კულტურა და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო ცხოვრების წესი. ჩრდილოეთის ალპებიდან მომდინარე მთის მდინარეებზე აშენდა უზარმაზარი ჰიდრავლიკური კონსტრუქციები, ხოლო სეზონურ ქარებს მოაქვს თბილი და ცივი ჰაერის მასები, რომლებიც წვიმის სახით უხვად ეცემა მიწაზე. შესაბამისად, წყალი უმთავრეს ფაქტორად იქცევა. ხელოვანთა ნაშრომები, როგორც წესი, ეყრდნობა კონცეფციის ხსენებულ ოთხ კომპონენტს. ფესტივალის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების მიზანია ადგილობრივი თემის ჩამოყალიბება, ხოლო ურთიერთობა მოწვეულ იაპონელ თუ უცხოელ ხელოვანთა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის წარმოადგენს ფესტივალის განუყოფელ ნაწილს.

ფრამ კიტაგავას მიერ 1990-იან წლებში წამოყენებულ ინიციატივას თანამედროვე ხელოვნების მეშვეობით რეგიონების გამოცოცხლებასთან დაკავშირებით წვლილი შეაქვს იაპონიის იმ ტერიტორიების აღორძინებაში, რომლებიც განიცდიან შრომითი მიგრაციის, ქარხნების დახურვის და, შესაბამისად, სამუშაო ადგილების შემცირებით გამოწვეულ გაუკაცრიელების მძიმე შედეგებს. იაპონიის შორეული, მიუწვდომელი რეგიონები, რომლებმაც შეინარჩუნეს თავიანთი ბუნებრივი მომხიბვლელობა, დღეს აღორძინებას განიცდიან, როგორც თანამედროვე ხელოვნებისადმი მიძღვნილი ღონისძიების ცენტრები. იაპონიის თანამედროვე ხელოვნების ტრიენალეები: სეტუჩის ტრიენალე, იტიჰარას არტ-მიქსი, ეჩიგო-ცუმარის ხელოვნების ტრიენალე, ოკუ-ნოტოს ტრიენალე, ჩრდილოეთ იაპონიის ალპების ხელოვნების ფესტივალი, რომელთაც კურირებს ფრამ კიტაგავა, პოპულარიზაციას უწევენ ადგილობრივი თემების ორგანიზებას და კონსოლიდაციას და აღვივებენ მდგრად ინტერესს ტრადიციული კულტურული ღირებულებების და თანამედროვე ხელოვნების მიმართ. თანამშრომლობა უცხოელ და იაპონელ ხელოვანებს შორის, ასევე ადგილობრივი თემის წარმომადგენელთა მოხალისეობრივი მონაწილეობა და მათი თანაავტორობა ხელოვნების ნიმუშთა შექმნაში, აფართოებს რეგიონის და მისი მოსახლეობის მსოფლმხედველობით თვალსაწიერს და ფიზიკურ განზომილებას და ქმნის ახალ პერსპექტივებს განვითარებისთვის.

ცნობილი კურატორების მიერ შექმნილი და რეგულარულად განხორციელებული თანამედროვე ხელოვნების პროექტები იზიდავს უამრავ სტუმარს, წვლილი შეაქვს სხვადასხვა რეგიონის კულტურულ და ეკონომიკურ განვითარებაში, ხოლო ქვეყნის შემოქმედებითი საზოგადოება ექცევა გლობალური ხელოვნების გაშუქების ყურადღების ცენტრში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- Echigo-Tsumari Art Field. – https://www.echigo-tsumari.jp/en
- Ichihara Art x Mix. – https://ichihara-artmix.jp/
- Northern Alps Art Festival. – https://shinano-omachi.jp/en/
- Oku-Noto Triennale. – https://oku-noto.jp/en
- Setouchi Triennale. – https://setouchi-artfest.jp/en/

6 Northern Alps Art Festival.

THE GLOBAL AND LOCAL CONTEXT OF JAPANESE CONTEMPORARY ART TRIENNALES

Ekaterina Kenigsberg

Keywords: *Triennale, contemporary art, Japan, Fram Kitagawa, artist*

There are many significant contemporary art events in Japan, including Setouchi Triennale, Ichihara Art×Mix, Echigo-Tsumari Art Triennale, Oku-Noto Triennale, Northern Alps Art Festival. Fram Kitagawa, the general director of these five Triennales, who has a long and successful track record in managing important international cultural events, invites curators for individual exhibitions or projects and coordinates the participation of local and international artists.

The Echigo-Tsumari Art Triennale dates back to 2000, and Fram Kitagawa considers it important to "explore spaces other than the universal space through works of art that ultimately open up the future of the Echigo-Tsumari region."

The mission of Setouchi Triennale's curatorial team and guest artists is to identify and highlight the uniqueness and individuality of each island in the region and the surrounding islands of the Seto Inland Sea. Fram Kitagawa calls the Setouchi Triennale "a journey of exploring our own DNA.

Ichihara Art×Mix, which began in 2014, is stated as a new kind of art festival where contemporary art works in harmony with the environment: nature and tradition, resources and history, culture and the railroad infrastructure that connects the locations of the Triennale.

The Oku-Noto Triennale, held since 2017, is based on the idea of interaction between the local community of an isolated area of Japan and contemporary artists, and positions itself as the premier art festival at the farthest edge of the world. The Northern Japan Alps Art Festival, also launched in 2017, aims to revive the charm of the area around the city of Omachi in Nagano Prefecture through a wide range of contemporary art events.

In this way, all five Triennials have in common a local context and contemporary art.

Contemporary art projects created by renowned curators and held on a regular basis, attracting a large number of visitors, contribute to the cultural and economic development of the territories. The creative communities of the country become part of the global discourse of art.

Japan hosts many significant contemporary art events, including the Setouchi Triennale, the Ichihara Art×Mix, the Echigo-Tsumari Art Triennale, the Oku-Noto Triennale, and the Northern Alps Art Festival. Fram Kitagawa, the general director of these five Triennales, who has a successful and long experience in artistic leadership of significant international cultural events, invites curators of individual exhibitions or projects and coordinates the participation of local and international artists.

The mountainous farming region of Echigo-Tsumari in Niigata Prefecture, where the Echigo-Tsumari Art Triennale[1] has been held since 2000, is sparsely populated, with small settlements cut off from each other during the cold, snowy winters. Migration of young people to cities and natural population decline have had a negative impact on the development of the region for decades. Kitagawa, as a native of Niigata Prefecture, understands the problems of Echigo-Tsumari. The idea of promoting Echigo-Tsumari through contemporary art was floated by Kitagawa back in 1994, but it was received with scepticism. It took years of educating the local community about contemporary art, convincing the public of the potential interest in the centuries-old traditional way of life of the peasantry, a huge number of meetings and negotiations at various levels, and finally, in 2000,

1 Echigo-Tsumari Art Field.

the Echigo-Tsumari Art Triennale was launched.

The concept of the Triennale includes seven points: man as part of nature; a journey through the landscape, following the works of art as a guiding star; collaboration beyond generations, regions, and backgrounds; creating alternative values from existing values; unique hub possibilities; the art of living; global/local.

The development of the artistic landscape of Echigo-Tsumari through contemporary art draws on the model of the centuries-old relationship between man and nature that is characteristic of agricultural regions. Traditional local food is positioned as a "primitive representation of art"[2] serving as an important element of the Triennale, bringing cultures together and attracting the attention of visitors. Artists invited to participate, together with local community representatives and volunteers in the framework of the Triennale, create works and projects of contemporary art, revealing the idea of the uniqueness of the region. Works by internationally renowned artists and emerging authors are installed permanently or temporarily on rice terraces, fields, roadsides, plots of land, in empty schools, houses, and buildings in some 200 villages.

The dispersal of artists' works and projects among large settlements and numerous smaller villages provides an opportunity to build diverse routes for viewers, to draw attention to the peculiarities of the region itself and to engage in creative reflection on local and global issues, including those that transcend the boundaries of art.

Fram Kitagawa emphasizes that as the curator-director of the Triennale he strives "to explore spaces other than the universal space through works of art that ultimately open up the future of the Echigo-Tsumari region"[3]. Over the years, the Echigo-Tsumari Art Triennale has welcomed hundreds of artists from all over the world: Ilya and Emilia Kabakov (Russia/USA), Menashe Kadishman (Israel), Joseph Koshut (USA), Cai Guo-Qiang (China/USA), Stasys Eidrigevicius (Poland / Lithuania), Carsten Nicolai (Germany), Nagai Rihito (Japan), Tanya Badanina (Russia), Rebecca Belmore (Canada), Ma Yansong (China), Kuri Mayumi (Japan), Urs Twelmann (Switzerland) and others.

In accordance with the curatorial research concept of Fram Kitagawa for the revitalization of this sparsely populated and ageing Japanese region, the overriding idea of the Echigo-Tsumari Art Triennale was and remains the discovery and awareness of the uniqueness of each Echigo-Tsumari locality through works of art created by artists from around the world. The work of the artists within the Echigo-Tsumari Art Triennale, their interaction with local communities, the creation and installation of site-specific works, the holding of additional events and parallel programmes contribute to the development and strengthening of connections and the understanding of the region as a place of strength.

The Setouchi Triennale takes place on the islands of the Seto Inland Sea of Japan, located between the islands of Honshu, Shikoku, and Kyushu. For centuries, regular shipping routes along the sea route have been a source of supply to large and small islands of both industrial goods and culture, enriching and developing local history, ethnography, and culture.

The Inland Sea of Japan is known for its unique island and seascapes. The rapid development of the Japanese economy in the 1960s led to rapid industrialization and the growth of large manufacturing plants in the region, which, in turn, led to environmental pollution. Over time, this area, like many other remote, insular, rural areas of Japan, has experienced the typical problems associated with the processes of urbanization and globalization: the movement of young people to large settlements, the closure of schools and businesses, the rapid decline in population, the increase in the number of elderly citizens.

The mission of the Setouchi Triennale curatorial team and guest artists is to identify and highlight the uniqueness and individuality of each island in the region and the surrounding islands of the Seto Inland Sea. Fram Kitagawa calls the Setouchi Triennale "a journey of exploring our own DNA"[4].

The Setouchi Triennale concept is based on several points:

– Art and architecture that help to attract visitors and provide an opportunity to learn about the unique

2 See also Echigo-Tsumari Art Field
3 See also Echigo-Tsumari Art Field
4 Setouchi Triennale.

local culture;

– Supporting local identity. The Setouchi Triennale promotes the identification and preservation of local diversity handed down from generation to generation in customs and crafts, artistic and folkloric expression, and architectural features;
– Revitalizing local communities. By involving local communities in creative activities, the Setouchi Triennale promotes interest in traditional ways of life and local history;
– Connecting Setouchi to the world. By creating opportunities for international artists working in a variety of genres and techniques and local residents to collaborate in the creation of artworks, the Setouchi Triennale expands geographic and mental boundaries;
– Implementing global experience. The Setouchi Triennale draws on international experience in the fields of art and culture, science and philosophy, architecture, etc. to revitalize local culture and regenerate the region;
– Shaping the future. Through contemporary art, the Setouchi Triennale organizes the transfer of knowledge from different regions and different generations to children and youth;
– Sustainable local development. The Setouchi Triennale aims to be a source of inspiration for constantly developing local initiatives and cooperation programmes operating within and outside the Triennale, thus contributing to the development of local movements for the restoration of the sea and the regeneration of the region.

The Setouchi Triennale is held on twelve islands (Ibukijima, Awashima, Takamijima, Honjima, Samijima, Naoshima, Megijima, Ogijima, Oshima, Teshima, Inujima, Shodoshima), many of which are sparsely populated, and in two seaside port cities (Takamatsu and the port of Uno in Tamano). The first Setouchi Triennale in 2010 was held on seven islands and in the port of Takamatsu in Kagawa Prefecture, but the second Setouchi Triennale in 2013 expanded to five more islands and the port of Uno in Okayama Prefecture.

Fram Kitagawa's curatorial strategy of revitalizing the Seto Inland Sea region through contemporary art has gained recognition in Japan and beyond, and the Setouchi Triennale has gained international fame and firmly established its niche among the most important regular events of the world's contemporary art scene.

The Ichihara Art×Mix Triennale, launched in 2014, is billed as a "new kind of art festival"[5] where contemporary art works in harmony with its environment: nature and tradition, resources and history, culture, and the railroad infrastructure linking the locations of the Triennale. The city of Ichihara is located in the central part of the Boso Peninsula, about an hour's drive from Tokyo. The southern part of the city, located in a mountainous area, has a declining and ageing population. The Triennale aims to rediscover the value of local resources through contemporary art.

The concept of the Ichihara Art×Mix Triennale includes four essential points:

– Using the buildings of the four elementary schools, closed in 2013, as locations for art projects;

– Revitalizing local transportation networks — the restoration of the Kominato railroad running through the city of Ichihara by using station buildings and trains during the Triennale, as well as the restoration of other transportation facilities;

– Using the rich natural environment and local foods as a catalyst for mutual understanding between locals and visitors;

– Inviting international artists under the age of 40, who are willing to engage actively with local people on a long-term basis to create artworks and art projects that can play an important role in revitalizing the region and contribute to community regeneration, to participate in the Triennale.

The Oku-Noto Triennale is based on the idea of interaction between the local community of an isolated area of Japan and contemporary artists, and positions itself as "the premier art festival at the farthest edge of the world"[6]. Oku-Noto is the northern part of the Noto Peninsula of the Island of Honshu. Here, in and around the city of Suzu, the Oku-Noto Triennale has been held since 2017. The city of Suzu was an important trading

5 Ichihara Art x Mix.
6 Oku-Noto Triennale.

port during the heyday of shipping, but over time it has lost its importance and fallen into decline, causing a population exodus. Because of its geographic location, Suzu is one of the most isolated cities in Japan. A unique archetype of Japanese culture has been preserved here: the Giant Lantern Festival, salt mining in a traditional method unchanged for 500 years, production of specific products from the local variety of soybeans, and rituals of hospitality. The Suzu ecosystem is listed as an agricultural heritage of world significance.

The Oku-Noto Triennale 2017 and the Oku-Noto Triennale 2020+, which due to the coronavirus pandemic took place a year later, in 2021, focused on unlocking Suzu's potential. The selection of artists and the themes of their works, which were displayed in the galleries and in the public space, were in line with this goal. All of Suzu's districts became exhibition arenas. The permanent and temporary works created as part of the Oku-Noto Triennale are generally based on a local context.

The Northern Alps Art Festival[7], also launched in 2017, aims to revive the charm of the forest- and water-rich mountainous area around the city of Omachi in Nagano Prefecture through a wide range of contemporary art events. The festival's concept is based on four key concepts: water, land, trees, sky. The culture and traditional rural lifestyle of the region have been formed on the basis of these concepts. Grandiose hydraulic structures have been erected on the mountain rivers flowing from the Northern Alps; seasonal winds carry warm and cold air masses falling to the land in abundant rains. Thus, it is the water that comes first. Artists' works are usually based on the four components of the concept. The events held within the festival are aimed at creating local communities; the interaction of invited Japanese and international artists and local residents is an integral part of the festival.

Initiated by Fram Kitagawa in the 1990s, the initiative to revitalize regions through contemporary art contributes to the revitalization of Japanese territories affected by depopulation due to labour migration, job losses due to factory closures. Japan's remote or inaccessible places that retain their natural charm have been redeveloped as locations for significant contemporary art events. The Japanese contemporary art triennales — the Setouchi Triennale, the Ichihara Art×Mix, the Echigo-Tsumari Art Triennale, the Oku-Noto Triennale and the Northern Alps Art Festival, curated by Frum Kitagawa — promote the organization and consolidation of local communities and sustainable interest in traditional cultural values and contemporary art. Cooperation with foreign and Japanese artists and the involvement of local community members as volunteers or even co-authors of works of art broaden the mental and physical boundaries of the region and its inhabitants and open up new perspectives for development.

Contemporary art projects created by renowned curators and held on a regular basis, attracting numerous visitors, contribute to the cultural and economic development of the territories. The country's creative communities become part of the global art discourse.

REFERENCES:

- Echigo-Tsumari Art Field. – https://www.echigo-tsumari.jp/en
- Ichihara Art x Mix. – https://ichihara-artmix.jp/
- Northern Alps Art Festival. – https://shinano-omachi.jp/en/
- Oku-Noto Triennale. – https://oku-noto.jp/en
- Setouchi Triennale. – https://setouchi-artfest.jp/en/

7 Northern Alps Art Festival.